საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

თბილისი, ვ. ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი 1 ოქტომბერი.

"დინამო" (თბილისი) – "დინამო" (მინსკი) 1:2 (1:2)

თბილისი – გაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, ჭედია, ჩიქოვანი, ნემსაძე (დარასელია, 55), ჯიშკარიანი, ცვეიბა, ქეცბაია, კაჭარავა, გოგიჩაშვილი.

მინსკი–სასუნკევიჩი, ლესუნი, გომონოვი, შოროკი, დემილოვი (ალჩაგიროვი, 46), ზიგმანტოვიჩი, გოცმანოვი, სოკოლი (დომაშევიჩი, 75) გერასიმეცი, მეტლიცკი, მარხელი.

მსაჯი ვ. პიანიხი (დონეცკი).

გააფრთხილეს ცხადაძე, გომონოვი, დომაშევიჩი.

მასპინძლებმა ეს მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრაც სუსტად წარმართეს და დამარცხდნენ – 1:2, თუმცა იმედი კი გვქონდა, რომ თბილისელი ფეხბურთელები ამ მატჩი მაინც ყველაფერს გაიღებდნენ გამარჯვებისთვის. ცნობილია, რომ თბილისის "დინამო" სათამაშო პიკს სეზონის ბოლოში აღწევს, შემოდგომით ჩვენი გუნდი ძლიერად თამაშობს და ჩვეულებრივ, ქულებსაც მაშინ იღებს, მაგრამ, როგორც თბილისის დინამოელთა მიერ საკავშირო ჩემპიონატებში დამკვიდრებული სხვა ტრადიციები, ეს უკანასკნელიც, ეტყობა დავიწყებას ეძლევა, შუა შემოდგომაა, სეზონი მთავრდება, ჩვენი გუნდის თამაშში კი ჯერჯერობით არავითარი სასიკეთო პროგრესი არ ჩანს.

2 ოქტომბერს მატჩი მასპინძელთათვის არასახარბიელოდ დაიწყო: თამაშის მე–3 წუთზე, მინსკელ შიროკის თბილისელთა მცველებმა რატომღაც გაუთავისუფლეს კარისკენ მიმავალი "დერეფანი", მასაც ისღა დარჩენოდა ახლო მანძილიდან გაეხსნა ანგარიში – 1:0.

მაგრამ წუთიც არ იყო გასული, რომ თბილისელებმა საპასუხო ბურთის გატანა შეძლეს, მე–4 წუთზე ქეცბაიას მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი სასუნკევიჩმა უხეიროდ მოიგერია, მეკარის ხელიდან, ასხლეტილი ბურთი მოხვდა ძელს, მიუგორდა კაჭარავას და მანაც ახლო მანძილიდან გაათანაბრა ანგარიში – 1:1.

ამის შემდეგ შეხვედრა ორმხრივი იერიშებით წარიმართა, მთელი დატვირთვა დააწვათ მეკარეებს – სასუნკევიჩსა და გაბელიას (სხვათა შორის, ჩვენ კარის მეკარემ ოთარ გაბელიამ ამ დღეს საიუბილეო მე–300 მატჩი ჩაატარა უმაღლეს ლიგაში), რადგან ამ მატჩში ორივე გუნდის მცველთა თამაში ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა. ეს განსაკუთრებით მასპინძლებზე ითქმის.

მიმდინარეობს თამაშის 28–ე წუთი, თბილისელთა საჯარიმო მოედნიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით ბურთი ჩაუვარდა მეტლიცკის, ძლიერად დარტყმულმა ბურთმა მიზანს მიაღწია – 2:1.

პირველი ნახევრის დარჩენილ დროში თბილისელებს შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ცხადაძის თვით დარტყმული ბურთი ძელმა მოიგერია, შესვენებისთვის სტუმრები წინ იყვნენ – 2:1.

მეორე ნახევრის დასაწყისშივე თბილისელებს კვლავ მიეცათ ანგარიშის გათანაბრების საშუალება, მაგრამ კაჭარავას მიერ ახლო მანძილიდან დარტყმულ ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა მინსკელთა ერთ–ერთმა მცველმა, შემდეგ კი კარის აღების კარგი შესაძლებლობა დაკარგეს ქეცბაიამ, გოგიჩაიშვილმა.

ეს იყო და ეს, მერე მასპინძლების ეპიზოდურ შეტევებს მინსკელთა კარისთვის საფრთხე აღარ შეუქმნია, სამაგიეროდ მწვავე კონტრშეტევებს ახორციელებდნენ სტუმრები, ისინი ბევრს მოძრაობდნენ მთელს მინდორზე, რითაც მასპინძლებს ხშირად აგდებდნენ რთულ სიტუაციებში. დარჩენილ დროში მინსკელებს აღარ გასჭირვებიათ ანგარიშის შენარჩუნება და მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა.

”ლელო” 3 ოქტომბერი 1989 წ.